სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი №5

ქ. თბილისი

02 სექტემბერი 2014 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: *ირაკლი ქაშიბაძე – თავმჯდომარე,*

კომისიის წევრები: *ავთანდილ კასრაძე – თავმჯდომარის მოადგილე;*

გიორგი კინწურაშვილი – სტრატეგიული განვითარების სპეციალისტი;

მარიამ სუმბაძე – საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი (შტატგარეშე თანამშრომელი);

სატენდერო კომისიის აპარატი: *ანა ხუციშვილი – შესყიდვების მენეჯერი (შტატგარეშე (თანამშრომელი);*

მიმწოდებელი: *ირენე სკალვინი - შპს „არტსტუდიო პროექტი"-ს დირექტორი;*

ტექნოპარკის სამშენებლო პროექტის მენეჯმენტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:

გიორგი მერებაშვილი – შპს „ელემსის" აღმასრულებელი დირექტორი:

მოისმინეს:

1. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2014 წლის 29 აგვისტოს ხელშეკრულებით დაგეგმილი იყო **შპს „არტსტუდიო პროექტის"** მიერ საპროექტო მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულებით **85 000** (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი. ზემოაღნიშნული კონკურსით გათვალისწინებული იყო **2000მ2-ზე** შენობის რეკონსტრუქციის პროექტი და **18000მ2-ზე** განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება.
   საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით გეგმავს, მხოლოდ მიწის ნაკვეთის ერთი ნაწილის **6950** მ2 გამოყენებას. შესაბამისად, მიმწოდებელი ორგანიზაციის მხრიდან აღარ დგას განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შესრულების მომსახურების გაწევის საჭიროება.
   ასევე, საპროექტო გუნდთან მუშაობის შედეგად გაიზარდა შენობის საერთო ფართი და შეადგინა **2883** მ2 .

2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2014 წლის 02 სექტემბრის №1-134/1 წერილის პასუხად, **შპს „აარტსტუდიო პროექტმა"** წარმოადგინა ხელახალი წინადადება (ფასთა გაანგარიშება) და შემოგვთავაზა მომსახურების გაწევა **74 000** (სამოცდათოთმეტი ატასი) ლარად.

დაადგინეს:

1. რომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დაგეგმილია ტექნოპარკის მოწყობა 2014 წლის განმავლობაში. ახალი კონკურსის გამოცხადება და ხელახალი გამარჯვებულის გამოვლენა იმოქმედებს სამუშაოების შესრულების ვადებზე და 2014 წლის ბოლომდე შეუძლებელი იქნება ზემოაღნიშნული სამუშაოების არათუ დასრულება, არამედ დაწყება. ასევე, შესაძლებელია ახალი კონკურსის ფარგლებში გაიზარდოს ხელშეკრულების ღირებულება.
2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონიდად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება ხელშეკრულებაში და ჩამოყალიბდეს **შპს „აარტსტუდიო პროექტის"** მიერ წარმოდგენილი ახალი წინადადების შესაბამისად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი ქაშიბაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

ავთანდილ კასრაძე

გიორგი კინწურაშვილი

მარიამ სუმბაძე

სატენდერო კომისის აპარატის წევრი:

ანა ხუციშვილი

მიმწოდებელი:

ირენე სკალვინი

ტექნოპარკის სამშენებლო პროექტის მენეჯმენტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:

გიორგი მერებაშვილი

ქ. თბილისი, 0105,
გ. ტაბიძის ქ. №3/5
ტელ/ფაქსი: (99532) 2.915254

3/5, G. Tabidze Str
0105 Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 2.915254

შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება:

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

მისამართი: სულხან-საბას ქუჩა 9,0105
თბილისი-ტელ.: (+995.32)2.850027

თბილისი 02.09.2014

პატივცემულო ბ-ნო/ქ-ნო,

განვიხილეთ თქვენი დოკუმენტაცია შემდეგი შემადგენლობით:

საკონკურსო განცხადება;
საპროექტო დავალება;
დანართი 1 (პროექტის სტრატეგიული კალენდარულიგრაფიკი);
დანართი 2 (მოთხოვნები საპროექტო სივრცეების მიმართ);
დანართი 3 (დამკვეთის მოთხოვნები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი);
საკონკურსო წინადადების ფორმა;
RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007;
კონკურსანტის გამოცდილების ფორმა;
რეზიუმეს ფორმა;
რეკვიზიტების ფორმა;
ხელშეკრულების პროექტი.

მასში აღწერილი მომსახურების შესყიდვის შესახებ.
ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება ზემოთაღნიშნულ დოკუმენტაციას.

ჩვენ გთავაზობთ სამუშაოების შესრულებას ჯამურად: თანხა: 74000 ლარი; თანხა სიტყვიერად: (სამოცდაოთხი ათასი ლარი). აღნიშნულ თანხაში არ შედის მოსაკრებლებისა და ტექნიკური პირობების ღირებულება.

საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სათანადო წესით იქნა შევსებული და დამოწმებული ჩვენს მიერ, რომელიც თან ერთვის ამ დოკუმენტს და ჩვენი წინადადების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ჩვენი წინადადების პირობები ძალაშია 30 დღის განმავლობაში მისი გამოცემის დღიდან და დამკვეთის მიერ მასზე თანხმობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ამ პერიოდის ამოწურვამდე.
ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დამკვეთს აქვს სრული თავისუფლება საკუთარი არჩევნის გაკეთებაში და არ არის ვალდებული მიიღოს ყველაზე დაბალი ღირებულების ან რომელიმე სხვა წინადადება.

ხელმომწერის სახელი და გვარი: გიორგი სულაბერიძე

კონკურსანტის ფინანსური წინადადება:

RIBA-ს საფეხური	აღწერილობა	საფასური
C	კონცეპტუალური გადაწყვეტა	15%-11100 ლ
D	"პროექტი" დიზაინის განვითარება	15%-11100 ლ
E	მუშა პროექტი	20%-14800 ლ
F+G+H	ინფორმაცია პროდუქციის შესახებ,სატენდერო დოკუმენტაცია,სატენდერო მოქმედებები	20%-14800 ლ
J	მობილიზაცია	2%-1480 ლ
K	მშენებლობის პროცესი პრაქტიკულ დასრულებამდე	25%-18500 ლ
L	დასრულებული მშენებლობის პროცესის შემდგომი პერიოდი	3%-2220 ლ
	სულ	100% -74000 ლარი

ინფორმაცია კონკურსანტის პერსონალის ანაზღაურების შესახებ (დამატებითი სამუშაოს შემთხვევაში):

N	პოზიცია/კატეგორია	თვიური ანაზღაურება (ლარი)	ანაზღაურება კვირაში (ლარი)	საათობრივი ანაზღაურება (ლარი)
1	მაგალითი: დირექტორი	3600	900	20
2	მაგალითი: მთავარი არქიტექტორი	3000	750	16.5
3	არქიტექტორი	2000	500	11
4	ტექნიკოსი	800	200	4.5
5	ინჟინერ ელექტრიკოსი	1800	450	10
6	ინჟინერი	1800	450	10
7	ლანდშაფტის არქიტექტორი	1500	375	8
8	ინტერიერის დიზინერი	1300	325	7

ხელმოწერა:

ხელმომწერის სახელი და გვარი: გიორგი სულაბერიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
საქართველოს ინოვაციების და
ტექნოლოგიების სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
INNOVATION AND TECHNOLOGY AGE
OF GEORGIA

№ 1-134/1

„2" სექტემბერი 2014 წ.

შპს „არქსტუდიო პროექტი"-ს
დირექტორს ირენე სკალვინს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გადმოეცა სახელმწიფო სარგებლობის უფლებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი #01.15.07.002.003; საერთო ფართობი 18 307 კვ.მ.) და მასზე მიმაგრებული შენობა ნაგებობები (საერთო ფართი 2 974.00 კვ.მ). საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით გეგმავს, მხოლოდ მიწის ნაკვეთის ერთი ნაწილის გამოყენებას.

იქიდან გამომდინარე, რომ სააგენტო აღარ გეგმავს გამოიყენოს მიწის მთლიანი ფართობი, შესაბამისად თქვენი მხრიდან აღარ დგას განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების შესრულების მომსახურების გაწევის საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ ხელახალი ფასთა გაანგარიშება, რათა განვახორციელოთ ხელშეკრულებაში ცვლილება.

პატივისცემით,

სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ქაშიბაძე

საქართველო, თბილისი, 0108, ჭანტურიას ქ. №12

№12, Chanturia str., 0108, Tbilisi, Georgia